



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31203311

თარიღი:26/11/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი № 11

ქ. ლანჩხუთი

26.11.2020

10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე**.

კომისიის წევრები: ოთარ პატიეშვილი, ალექსანდრე მახათაძე, ზაზა წულაძე, ზურა კუკულავა, ზაალ სანაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **ომარ ჯანაძე**.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კარლო კვიციანიშვილი, გოგი მორჩილაძე, ირაკლი მარშანიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;

მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის

უფლებით-უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს დაეწერა ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ პრეზიდენტის 2020 წლის 24 ნოემბრის N525 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ გვიმბალაურში მდებარე N1 შენობა ნაგებობის (საერთო ფართობი-1322,1 კვ.მ მათ შორის პირველი სართულის ფართი 494,9 კვ.მ; მეორე სართულის ფართი 413 კვ.მ; მესამე სართულის ფართი 412,2 კვ.მ) დროებით სარგებლობაში, უზუფრუქტის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად, წლიური საფასურით 1 (ერთი) ლარად ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის“ გადაცემა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ გვიმბალაურში მდებარე უძრავი ქონებიდან (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 27.08.47.430)-N1 შენობა-ნაგებობა (საერთო ფართობი-1322,1 კვ.მ მათ შორის პირველი სართულის ფართი 494,9 კვ.მ; მეორე სართულის ფართი 413 კვ.მ; მესამე სართულის ფართი 412,2 კვ.მ) დროებით სარგებლობაში, უზუფრუქტის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად, წლიური საფასურით 1 (ერთი) ლარად გადაეცეს ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

მიეცეს მერს თანხმობა აღნიშნული ქონების დროებით სარგებლობაში, უზუფრუქტის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად, წლიური საფასურით 1 (ერთი) ლარად გადაეცეს ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია-საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №10

26.11.2020 წელი
10.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.


/მომხსენებელი გიორგი ჩახვამე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

მიეცეს მერს თანხმობა აღნიშნული ქონების დროებით სარგებლობაში, უზუფრუქტის უფლებით 10 (ათი) წლის ვადით, სასყიდლით, სიმბოლურ ფასად, წლიური საფასურით 1 (ერთი) ლარად გადაეცეს ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“.







მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

 გიორგი ჩახვამე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
 ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო
 ფურცელი

26.11. 2020 წელი
 10:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ჩახვაძე	10 ⁰⁰	
2	ზაზა წულაძე	9 50	
3	კარლო კვიციანიშვილი		
4	ალექსანდრე მახათაძე	10 00	
5	ზაალ სანაძე	9 55	
6	ოთარ პატიეშვილი	9: 40	
7	ზურაბ კუკულავა	9: 52	
8	ირაკლი მარშანიშვილი		
9	გოგი მორჩილაძე		